ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

წინამდებარე ხელშეკრულება (შემდგომში "ხელშეკრულება") დადებულია თბილისში 2022 წლის _____ შემდეგ მხარეებს შორის:

შპს „G-Connect" (საიდენტიფიკაციო კოდი - 404443777, იურიდიული მისამართი ქ. თბილისი, ნ.ფიროსმანის ქ.#18), წარმოდგენილი მისი დირექტორის ილონა ბოდავეცის სახით, რომელიც შემდგომში მოხსენიებულია როგორც "შემსრულებელი", ერთის მხრივ, და

_____ (საიდენტიფიკაციო კოდი -_____, იურიდიული მისამართი _____), წარმოდგენილი მისი დირექტორის _____ სახით, რომელიც შემდგომში მოხსენიებულია როგორც "დამკვეთი", მეორეს მხრივ

"შემსრულებელი" და "დამკვეთი" ერთობლივად მოხსენიებული არიან როგორც "მხარეები" და ცალ-ცალკე – როგორც "მხარე"

წინამდებარე ხელშეკრულების მხარეები თანხმდებიან შემდეგზე:

მუხლი 1. ტერმინთა განმარტება

1.1 წინამდებარე ხელშეკრულებაში გამოყენებული შემდეგი ტერმინები აღნიშნავენ:

ა) ***მხარე*** – "შემსრულებელი" ან "დამკვეთი" კონტექსტის შესაბამისად;

ბ) ***მხარეები*** – "შემსრულებელი" და "დამკვეთი" ერთდროულად;

გ) ***მესამე პირი*** – ნებისმიერი ფიზიკური და/ან იურიდიული პირი, გარდა მხარეებისა;

დ) **სადემარკაციო წერტილი** - წერტილი, სადაც ხდება „დამკვეთისა" და „შემსრულებელის" ვალდებულებების გამიჯვნა.

1.2 წინამდებარე ხელშეკრულებაში გამოყენებულ სხვა ტერმინებს აქვთ საქართველოს სამოქალაქო კოდექსითა და ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ საქართველოს კანონით დადგენილი მნიშვნელობა.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი და მხარეთა ძირითადი უფლება-მოვალეობები

2.1. "შემსრულებელი" იღებს ვალდებულებას "დამკვეთი" დაუშვას ინტერნეტ-რესურსებთან დაშვება ამ ხელშეკრულების დანართ(ებ)ით განსაზღვრული გამტარუნარიანობის სიმძლავრეებით (« მომსახურება ») ამავე დანართ(ებ)ით განსაზღვრულ მომსახურების მიწოდების წერტილებში (« ჩართვის წერტილი »). დანართ(ებ)ით ასევე განისაზღვრება თითოეული ჩართვის წერტილში მისაწოდებელი მომსახურების ყოველთვიური საფასური და ინსტალაციის ღირებულება (ასეთის არსებობის შემთხვევაში). თითოეულ ჩართვის წერტილში მიწოდებული მომსახურება ითვლება ცალკე მომსახურებად

2.2. „დამკვეთი“ აცხადებს და იძლევა გარანტიას, რომ მას აქვთ სრული უფლება და შესაძლებლობა, შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. კერძოდ, იგი წარმოადგენს ინტერნეტ მომსახურების გაწევაზე საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ ავტორიზებულ პირს და მას გააჩნია წინამდებარე ხელშეკრულების 2.1. პუნქტით საფუძველზე მიღებული ინტერნეტ მომსახურების საკუთარი ბოლო მომხმარებლებისათვის მიწოდებისათვის საჭირო ყველა და ნებისმიერი ლიცენზია ან/და ნებართვა. ამასთან, წინამდებარე პუნქტით განსაზღვრული გარანტიის დარღვევის თაობაზე (რაც მოიცავს ასევე აღნიშნული გარანტიის დარღვევის შედეგად შემსრულებლისათვის დაკისრებული ჯარიმის და/ან მიყენებული ზიანის ანაზღაურებას) პასუხისმგებლობა სრული მოცულობით ეკისრება „დამკვეთს“.

2.3. "დამკვეთი" აცხადებს და იძლევა გარანტიას, რომ "შემსრულებელისაგან" მიღებულ მომსახურებას გამოიყენებს საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად. "დამკვეთი" ვალდებულია დაუყოვნებლივ და უპირობოდ აუნაზღაუროს "შემსრულებელს" ყველა ის ზიანი, რაც შეიძლება "შემსრულებელს" მიადგეს "დამკვეთის" მიერ ამ ხელშეკრულების საფუძველზე მიღებული მომსახურების საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით გამოყენების შედეგად.

2.4. მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე ხელშეკრულების მიზნებისათვის სადემარკაციო წერტილს წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების 2.1. პუნქტით განსაზღვრული მომსახურების მიწოდების ადგილი (ჩართვის წერტილი) და სწორედ ამ წერტილიდან იმიჯნება „შემსრულებელსა“ და „დამკვეთის“ ნებისმიერი ის ვალდებულება, რომელიც გამომდინარეობს წინამდებარე ხელშეკრულებიდან, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობიდან, მათ შორის ელექტრონულ-საკომუნიკაციო მომსახურებასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან, შესაბამისად, ნებისმიერი დაზიანების აღმოფხვრისა და საპროფილაქტიკო სამუშაოების ჩატარების ვალდებულება მომსახურების ადგილიდან აკისრია „დამკვეთს“ და „შემსრულებელი“ არ აგებს პასუხს აღნიშნულისგან გამომდინარე მომსახურების მიწოდების შეფერხების და/ან შეწყვეტისათვის. ხოლო ნებისმიერი დაზიანების აღმოფხვრისა და საპროფილაქტიკო სამუშაოების ჩატარების ვალდებულება მომსახურების ადგილამდე აკისრია შემსრულებელს და იგი ვალდებულია უმოკლეს ვადაში არაუგვიანეს 1 (ერთი) სამუშაო დღისა (გარდა ელექტროენერგიასთან დაკავშირებული პრობლემების შემთხვევისა) აღმოფხვრას დაზიანება.

2.5. “დამკვეთისთვის” 2.1. პუნქტში მითითებული მომსახურების მიწოდების დაწყების თაობაზე მხარეთა შორის წერილობით უნდა გაფორმდეს შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი 2 (ორი) ეგზემპლარად, რომელთაგან თითო ეგზემპლარი გადაეცემა თითოეულ მხარეს.

2.6. წინამდებარე ხელშეკრულების მეორე მუხლის პირველ პუნქტში მითითებული მომსახურების გაწევა ხდება ამ მუხლის მეორე პუნქტში მითითებული მიღება-

ჩაბარების აქტის ხელმოწერის მომენტიდან ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული ვადებისა და პირობების გათვალისწინებით.

2.7. ინტერნეტის გლობალურ რესურსთან „დამკვეთის“ დაშვების მომსახურების ფარგლებში „შემსრულებელი“ უზრუნველყოფს მომსახურების გაწევას, ინტერნეტ-მომსახურების მიწოდების ხარისხის განსაზღვრისა და შემოწმების წესების დამტკიცების თაობაზე“, შესაბამისად შემდეგი პარამეტრებით:

ა) ჯიტერი (მილიწამი)	<50
ბ) დაყოვნება (მილიწამი)	<150
გ) დაკარგული პაკეტების კოეფიციენტი (%)	<3
დ)მომსახურების ხელმისაწვდომობა (კალენდარულ თვეში, „საპატიო მოცდენის“ ხანგრძლივობის გარეშე)	99.9 %

მუხლი 3. ანგარიშსწორება. გადაუხდელობის შედეგები

3.1 წინამდებარე ხელშეკრულების 2.1 მუხლით განსაზღვრული “დამკვეთისთვის” გასაწევი მომსახურების ყოველთვიური ღირებულება და ინსტალაციის ღირებულება (ასეთის არსებობის შემთხვევაში) განისაზღვრება დანართ(ებ)ით. დამკვეთი ვალდებულია გადაიხადოს ინსტალაციის ღირებულება ერთჯერადად მომდევნო ყოველთვიურ საფასურთან ერთად.

3.2 მხარეები თანხმდებიან, რომ მესამე მუხლის პირველ პუნქტში მითითებული ყოველთვიური მომსახურების ფასის გადახდა ხდება ყოველთვიურად, შემდგომი გადახდის წესით, უნაღდო ანგარიშსწორების სახით, მომდევნო საანგარიშო პერიოდის - კალენდარული თვის - 20 რიცხვამდე. უნაღდო ანგარიშსწორება ხორციელდება „შემსრულებლის“ ამ ხელშეკრულების 9.7. პუნქტით განსაზღვრულ საბანკო რეკვიზიტებზე.

3.3 დამკვეთის მიერ რომელიმე ჩართვის წერტილზე შესაბამისი დანართით განსაზღვრული საფასურის გადაუხდელობის შემთხვევაში, შემსრულებელს აქვს უფლება, შეაჩეროს დამკვეთისათვის მომსახურების მიწოდება ამ ჩართვის წერტილზე გადახდის ვადის დადგომის მომდევნო დღიდან. დამკვეთის მიერ დავალიანების სრულად დაფარვის შემთხვევაში, შემსრულებელი ვალდებულია, აღადგინოს მომსახურების მიწოდება. თუ დამკვეთი დავალიანებას არ დაფარავს მომსახურების შეჩერებიდან 15 დღის განმავლობაში, შემსრულებელს უფლება აქვს, შეწყვიტოს მომსახურების მიწოდება შესაბამისი ჩართვის წერტილში. დამკვეთის მიერ ერთ ჩართვის წერტილში დარიცხული დავალიანების გადაუხდელობა არ ახდენს გავლენას იმ სხვა ჩართვის წერტილებთან დაკავშირებულ მხარეთა

ურთიერთობებზე, რომელზეც დამკვეთს დადგენილ ვადაში აქვს გადახდილი შესაბამისი საფასური.

მუხლი 4. ხელშეკრულების შესრულების პირობები

4.1 მხარეები ვალდებული არიან შეუქმნან ერთმანეთს სათანადო პირობები ხელშეკრულების პირობების შესრულებისათვის;

4.2 მხარეები ვალდებული არიან ხელშეკრულების შესრულების პროცესში წარმოშობილი ხარვეზის შესახებ მეორე მხარეს წერილობით შეატყობინონ ხარვეზის შესახებ ინფორმაციის მიღებიდან დაუყოვნებლივ, ხოლო მეორე მხარე ვალდებულია რაც შეიძლება სწრაფად აღმოფხვრას ხარვეზი;

4.3 იმ შემთხვევაში თუ ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისადარ შეატყობინებს მეორე მხარეს ხარვეზის შესახებ მეორე მხარე თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან;

მუხლი 5. მხარეთა პასუხისმგებლობა, ვალდებულების დარღვევის შედეგები

5.1 ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების მთლიანად ან ნაწილობრივ დარღვევის შემთხვევაში დამრღვევ მხარეს მეორე მხარის სასარგებლოდ დაეკისრება მიყენებული ზიანის ანაზღაურება;

მუხლი 6. ხელშეკრულების მოქმედება და შეწყვეტის პირობები

6.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 3 თვის განმავლობაში. მხარეებს აქვთ უფლება, ნებისმიერ დროს შეწყვიტოს ხელშეკრულება მთლიანად ან ნებისმიერ ჩართვის წერტილზე მისაწოდებელი მომსახურების ფარგლებში, მეორე მხარისათვის წინასწარი 30 დღიანი წერილობითი შეტყობინებსი გაგზავნის გზით.

6.2 ხელშეკრულება, 6.1. მუხლით განსაზღვრული პირობის დაუცველად, შესაძლოა შეწყდეს შემდეგ შემთხვევებში და შემდეგი პირობებით:

6.2.1 საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

6.2.2 იმ შემთხვევაში, თუ ერთ-ერთი მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრ რაიმე ვალდებულებას, და მეორე მხარისაგან წერილობითი შეტყობინების მიღების შემდეგ შეთანხმებულ გონივრულ ვადაში არ გამოასწორებს აღნიშნულ დარღვევას, მაშინ მხარე, რომელსაც არ დაურღვევია ხელშეკრულება უფლებამოსილია, ამ გონივრული ვადის

ამოწურვისთანავე, ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება მეორე მხარისათვის შეწყვეტის შესახებ წერილობითი შეტყობინების გაგზავნის გზით. ამ შემთხვევაში ასეთი მხარე თავისუფლდება ყველანაირი პასუხისმგებლობისაგან. ამ შემთხვევაში მიიჩნევა, რომ ხელშეკრულება შეწყდა დამრღვევი მხარის ბრალით.

6.2.3 წინამდებარე ხელშეკრულების 3.3. მუხლით დადგენილ შემთხვევაში.

6.3 ხელშეკრულების ნებისმიერი მიზეზით შეწყვეტა არ ათავისუფლებს "დამკვეთს" ამ ხელშეკრულების შესაბამისად "შემსრულებლისაგან" ხელშეკრულების შეწყვეტამდე მიღებული მომსახურების საფასურის სრულად გადახდის ვალდებულებისაგან.

მუხლი 7. ფორს-მაჟორი

7.1 ნებისმიერი მხარის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი პირობის დარღვევა ან შეუსრულებლობა არ შეიძლება გახდეს ხსენებული მხარის წინააღმდეგ ნებისმიერი მოთხოვნის ან მისი წინამდებარე ხელშეკრულების დარღვევაში დადანაშაულების საფუძველი იმ შემთხვევაში, თუკი ამგვარი დარღვევა ან შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებებით, რომელთა წინასწარ განჭვრეტა ან თავიდან აცილება შეუძლებელია მხარეთა გონივრული მცდელობით. ამგვარი საგანგებო გარემოებები შემოფარგლულია წყალდიდობით, ხანძრით, მიწისძვრით და სხვა სტიქიური მოვლენებით, აგრეთვე ომით, სამხედრო ოპერაციებით, გაფიცვებით, ამბოხებებით, ხელისუფლების მიერ მიღებული დადგენილებებით ან განხორციელებული ქმედებებით ან მსგავსი ხასიათის სხვა გარემოებებით ან ქმედებებით;

7.2 მხარე, რომელიც აცხადებს ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შესახებ, წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე ნაკისრი ვალდებულებებისგან უნდა გათავისუფლდეს მხოლოდ იმ მოცულობით, რომლითაც აღნიშნული ვალდებულებების განხორციელება შეფერხებულია ფორს-მაჟორული გარემოებებით და არ უნდა გათავისუფლდეს წინამდებარე ხელშეკრულებით დაკისრებული ნებისმიერი სხვა ისეთი ვალდებულებისგან, რომელსაც არ აფერხებს ფორს-მაჟორული გარემოებები;

7.3 მხარეს, რომელიც აცხადებს ფორს-მაჟორული გარემოებების შესახებ, უნდა ჰქონდეს ამგვარი გარემოებებით შეფერხებული ან დაყოვნებული ვალდებულებების შესრულების დროის შესაბამისი გახანგრძლივების უფლება.

7.4 იმ შემთხვევაში, როდესაც ფორს-მაჟორული გარემოება / მდგომარეობა გრძელდება 15 დღეზე მეტ ხანს, მხარეებმა უნდა გადაწყვიტონ წინამდებარე ხელშეკრულების ბედი 15 დღის ვადაში; თუ მხარეები ვერ მიაღწევენ კომპრომისს, დავას განიხილავს სასამართლო.

მუხლი 8. მარეგულირებელი კანონმდებლობა და დავების გადაწყვეტა

8.1. წინამდებარე "ხელშეკრულება" რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

8.2. თუ "ხელშეკრულებასთან" დაკავშირებით ან მისგან გამომდინარე, ან მისი ნებისმიერი დარღვევის, შეწყვეტის ან კანონიერების შესახებ წარმოიშვება ნებისმიერი დავა ან სხვაგვარი უთანხმოება ("დავა") მხარეებს შორის, ერთი მხარის მიერ მეორისაგან "დავის" წარმოშობის შესახებ შეტყობინების მიღებიდან ორმოცდახუთი (45) კალენდარული დღის განმავლობაში მხარეები პირველ რიგში მიმართავენ სრულ ძალისხმევას "დავის" ორმხრივი მოლაპარაკებების გზით გადაწყვეტისათვის;

8.3. თუ "დავის" გადაწყვეტა შეუძლებელია ამ ორმოცდახუთი (45) კალენდარული დღის განმავლობაში ორმხრივი მოლაპარაკებების გზით, როგორც ეს განსაზღვრულია ამ "ხელშეკრულების" 8.2 პუნქტით, წინამდებარე ხელშეკრულებიდან ან მის საფუძველზე დადებული დამატებითი შეთანხმებებიდან გამომდინარე ნებისმიერი დავა, მათ შორის, თვით ამ ხელშეკრულების ან დამატებითი შეთანხმებების არსებობის, ნამდვილობის, ბათილობის, შეცვლის, შეწყვეტის და სხვა მოთხოვნების შესახებ განსახილველად და საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად გადაეცემა საქართველოს სასამართლოს.

მუხლი 9. დასკვნითი დებულებები

9.1. წინამდებარე ხელშეკრულების არცერთი დებულება არ შეიძლება დაექვემ-დებაროს შესწორებას, ცვლილებას, უარყოფას, ანულირებას ან გაუქმებას მხარეთა წერილობითი შეთანხმების გარეშე და არცერთი დარღვევის შემთხვევაში დამრღვევი მხარე არ შეიძლება გათავისუფლებული იქნას პასუხისმგებლობისგან მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

9.2. წინამდებარე ხელშეკრულების სათაურები ემსახურება მხოლოდ ტექსტის აღქმის გაადვილების მიზანს და მათ არ უნდა მოახდინონ გავლენა წინამდებარე ხელშეკრულების განმარტებასა და ინტერპრეტაციაზე.

9.3. იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი დებულება არის ან ნებისმიერ დროს გახდება იურიდიული ძალის არქმონე ან უკანონო, ამან გავლენა არ უნდა მოახდინოს წინამდებარე ხელშეკრულების ან მისი ნებისმიერი სხვა დებულების იურიდიულ ძალაზე ან კანონიერებაზე. მხარეები დამატებით თანხმდებიან, რომ ხელშეკრულების დანიშნულების და მთლიანობის შენარჩუნების მიზნით, მხარეები გამოიყენებენ მათ ხელთ არსებულ ყველა შესაძლებლობას იურიდიული ძალის არმქონე პირობების

იურიდიული ძალის მქონე მსგავსი მოქმედების პირობებით შესასწორებლად ან შესაცვლელად.

9.4. წინამდებარე ხელშეკრულება წარმოადგენს ხელშეკრულების საგანთან დაკავშირებით მხარეთა შორის არსებულ სრულ შეთანხმებასა და მორიგებას. არც ერთ მხარეს არ დაუდია ხელშეკრულებები იმ განცხადებებზე, გარანტიებსა და პირობებზე დაყრდნობით, რომელიც არ არის ასახული ხელშეკრულებებში.

9.5. მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების მთლიანი პერიოდის განმავლობაში ამ ხელშეკრულების შინაარსი არ შეიძლება ცნობილი გახდეს მესამე პირებისათვის, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული გამონაკლისებისა

9.6. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე 2 (ორი) თანაბარი იურიუდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან თითო ეგზემპლარი გადაეცემა თითოეულ მხარეს.

9.7. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე ან მასთან დაკავშირებით ხელშეკრულების მხარის სახელზე გასაცემი ნებისმიერი შეტყობინება ან მოთხოვნა გაცემული უნდა იქნას ქვემოთმითითებული პირებისთვის ქვემოთმითითებულ მისამართზე ან სხვა იმ თანამშრომლებისთვის და/ან სხვა ისეთ მისამართზე ფაქსით ან წინასწარ ანაზღაურებული შეკვეთილი ფოსტით გაგზავნის საშუალებით, რომელსაც ხსენებული მხარე დროდადრო წერილობით შეატყობინებს მეორე მხარეს. აღნიშნული შეტყობინება ან მოთხოვნა მიწოდებულად უნდა ჩაითვალოს შეტყობინების ან მოთხოვნის ფაქსის ან ელ-ფოსტის საშუალებით გაგზავნის შემთხვევაში - გაგზავნის დროს, ხოლო ფოსტის საშუალებით გაგზავნის შემთხვევაში - ფოსტაში განთავსებიდან მე-5 დღეს, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც შეტყობინება ადრესატს არ ჩაბარდა:

შპს „G-Connect“
დირექტორი: ილონა ბოდავეცი
იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ნ.ფიროსმანის ქ.#18
საიდენტიფიკაციო კოდი: 404443777
მომსახურე ბანკი: სს თიბისი ბანკი
ბანკის კოდი: TBCBGE22
ა/ნ: GE43TB7444236080100002
უშუალო მენეჯერი: გიორგი მამამთავრიშვილი
ტელეფონი: (+995 577) 292239
ელ-ფოსტა: info@g-connect.ge

„დამკვეთი“
იურიდიული მისამართი:
საიდენტიფიკაციო კოდი:

საკონტაქტი პირ(ებ)ი:
ტელეფონი:
ელ-ფოსტა:

ყოველივე ზემოაღნიშნულის დასადასტურებლად, მხარეებმა საკუთარი უფლება-მოსილი წარმომადგენლების საშუალებით ზემოთმითითებულ დღესა და წელს გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება.

მხარეთა ხელმოწერები:

შპს "G-Connect"-ის	_____
დირექტორი	დირექტორი
ქ-ნი ილონა ბოდავეცი	_____

მომსახურების მახასიათებლების დანართი # ___

2022 წლის _____

ხელშეკრულება: 2022 წლის _____ ხელშეკრულება ("ხელშეკრულება");
მხარეები: ერთის მხრივ, **შპს „G-Connect"** ("შემსრულებელი") - ს/კ: 404443777, მისამართი: ქ. თბილისი, ნ.ფოროსმანის ქ.#18, და, მეორეს მხრივ, **_____"** ("დამკვეთი") - ს/კ: _____, მისამართი: _____

ხელშეკრულების 2.1. მუხლით განსაზღვრული შეკვეთილი მომსახურების მახასიათებლები და ფინანსური პირობები:

სიმძლავრე	ჩართვის წერტილი	ყოველთვიური საფასური (დღგ-ს ჩათვლით)	ინსტალაციის ერთჯერადი საფასური (დღგ-ს ჩათვლით)
___ მბ/წ	_____	__ ლარი	__ ლარი

მხარეთა ხელმოწერები:

შემსრულებელი: შპს „G-Connect"-ის დირექტორი ქ-ნი ილონა ბოდავეცი _____	**დამკვეთი:** _____ დირექტორი _____ _____

მიღება-ჩაბარების აქტი

ქ. თბილისი _____ 2022 წ.

წინამდებარე მიღება-ჩაბარების აქტის (შემდგომში „აქტი“)მხარეებს წარმოადგენენ:

1) შპს „G-Connect“ (საიდენტიფიკაციო კოდი - 404443777, იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ნ.ფიროსმანის ქ.#18), წარმოდგენილი მისი დირექტორის ილონა ბოდავეცის სახით, რომელიც შემდგომში მოხსენიებულია როგორც “შემსრულებელი”, ერთის მხრივ, და

2) _____ (საიდენტიფიკაციო კოდი _____, იურიდიული _____), წარმოდგენილი მისი დირექტორის _____ სახით, რომელიც შემდგომში მოხსენიებულია როგორც "დამკვეთი", მეორეს მხრივ

შემდეგში ტექსტში ერთად წოდებული როგორც „მხარეები“, ხოლო ცალ-ცალკე როგორც მხარე.

მხარეები აცხადებენ, რომ განხორციელდა „შემრულებელსა“ და „დამკვეთს“ შორის 2022 წლის _____ გაფორმებული ხელშეკრულების 2.1 პუნქტითა და 2022 წლის _____ გაფორმებული დანართი #1-ით გათვალისიწნებული მომსახურების მიწოდების დაწყება.

წინამდებარე აქტზე ხელმოწერით მხარეები ადასტურებენ, რომ „დამკვეთს“ არ გააჩნიათ რაიმე სახის მოთხოვნა ან პრეტენზია „შემსრულებლის“ მიმართ ზემოაღნიშნული ხელშკერულებიდან გამომდინარე მომსახურების მიწოდების დაწყებასთან დაკავშირებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულის დასადასტურებლად,"მხარეებმა" საკუთარი უფლებამოსილი წარმომადგენლების საშუალებით 2022 წლის _____ ხელი მოაწერეს წინამდებარე აქტს.

შპს “G-Connect”-ის	_____
დირექტორი	დირექტორი
ქ-ნი ილონა ბოდავეცი	_____
_____	_____